

ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C#-ის ბაზაზე)  
(108750, 108751, 108752, 108753 ჯგ)  
II სემესტრი. 2018-2019 წელი  
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

კლასი არის?

აირჩიეთ ერთი:

- a. არცერთი პასუხი არ არის სწორია
- b. კლასი არის ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ძირითადი სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება ობიექტების შესაქმნელად
- c. კლასი არის ობიექტების მასივი
- d. კლასი არ არის ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ძირითადი სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება ობიექტების შესაქმნელად

კითხვა 2

პარამეტრებად მეთოდს შეიძლება გადავცეთ?

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ ჩვეულებრივი ტიპის მნიშვნელობები
- b. ჩვეულებრივი ტიპის მნიშვნელობები და ობიექტები
- c. არცერთი პასუხი არ არის სწორი
- d. მხოლოდ ობიექტები

კითხვა 3

წინაპარი არის კლასი, რომლის?

აირჩიეთ ერთი:

- a. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- b. არცერთი პასუხი არ არის სწორი
- c. საერთოდ არ არსებობს წინაპირა კლასი C#-ში
- d. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად არ ხდება სხვა ახალი კლასის წევრები

კითხვა 4

მოცემული კოდის მიხედვით რომელი კლასია წინაპარი?

```
class University
{
public University() {}
}

class Student : University
{
public Student() {}
}
```

აირჩიეთ ერთი:

- a. University
- b. საერთოდ არ არის განსაზღვრული მემკვიდრეობითობა
- c. Student
- d. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### კითხვა 5

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მთელრიცხვა ლიტერალის ტიპი?

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. int
- b. Arcerti pasuxi araris swori
- c. ulong
- d. long
- e. uint

### კითხვა 6

რომელია ერთგანზომილებიანი მასივის სინტაქსი?

აირჩიეთ ერთი:

- a. ტიპი [ზომა ] მასივის\_სახელი = new ტიპი[ზომა];
- b. ტიპი [ზომა ] = new ტიპი[];
- c. ტიპი [ ] მასივის\_სახელი = new ტიპი[ზომა];
- d. ტიპი [ზომა ] მასივის\_სახელი = new ტიპი[];

### კითხვა 7

რისთვის გამოიყენება foreach ციკლი?

აირჩიეთ ერთი:

- a. ნამდვილი რიცხვების დასამუშავებლად
- b. მთელი რიცხვების დასამუშავებლად
- c. კოლექციის ელემენტების დასამუშავებლად
- d. სიმბოლოების დასამუშავებლად

### კითხვა 8

ჩამოთვლების სინტაქსია:

აირჩიეთ ერთი:

- a. enum { მუდმივების\_სია };
- b. enum (ჩამოთვლის\_სახელი){ მუდმივების\_სია };
- c. enum ჩამოთვლის\_სახელი { მუდმივების\_სია };

d. enum ჩამოთვლის\_სახელი;

### კითხვა 9

პარამეტრებად მეთოდს შეიძლება გადავცეთ?

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ ჩვეულებრივი ტიპის მნიშვნელობები
- b. არცერთი პასუხი არ არის სწორი
- c. მხოლოდ ობიექტები
- d. ჩვეულებრივი ტიპის მნიშვნელობები და ობიექტები

### კითხვა 10

რას იწვევს ref მოდიფიკატორის გამოყენება?

აირჩიეთ ერთი:

- a. პარამეტრისათვის არგუმენტის მნიშვნელობის ასლის მინიჭებას
- b. პარამეტრისათვის არგუმენტის მნიშვნელობის მინიჭებას
- c. პარამეტრისათვის არგუმენტის მისამართის მინიჭებას
- d. არგუმენტისთვის პარამეტრის მინიჭებას

### კითხვა 11

როცა მეთოდში მითითებულია ჩვეულებრივი და ცვლადი სიგრძის პარამეტრები, მაშინ?

აირჩიეთ ერთი:

- a. ცვლადი სიგრძის პარამეტრი პარამეტრების სიაში უნდა იყოს უკანასკნელი
- b. ცვლადი სიგრძის პარამეტრი პარამეტრების სიაში უნდა იყოს პირველი
- c. არ აქვს მნიშვნელობა თუ სად იქნება პარამეტრების სიაში
- d. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### კითხვა 12

რომელი სიტყვით იწყება კლასის სტატიკური წევრის გამოცხადება?

აირჩიეთ ერთი:

- a. static
- b. public
- c. protected
- d. private

### კითხვა 13

წინაპარი არის კლასი, რომლის?

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთოდ არ არსებობს წინაპირა კლასი C

- b. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად არ ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- c. არცერთი პასუხი არ არის სწორი
- d. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად ხდება სხვა ახალი კლასის წევრები

#### კითხვა 14

რას უზრუნველყოფენ პროგრამის შესრულების დროს ვირტუალური მეთოდები?

აირჩიეთ ერთი:

- a. პოლიმორფიზმს
- b. მასივებთან მუშაობას
- c. ინკაფსულაციას
- d. მემკვიდრეობითობას

#### კითხვა 15

მეთოდის ხელმოწერა არის?

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ პარამეტრების სია
- b. დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი, მეთოდის სახელი და პარამეტრების სია
- c. მხოლოდ მეთოდის სახელი
- d. მხოლოდ დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი

#### კითხვა 16

რომელი მოდიფიკატორი გამოიყენება მემკვიდრეობითობის აკრძალვისათვის?

აირჩიეთ ერთი:

- a. abstract
- b. sealed
- c. static
- d. virtual

#### კითხვა 17

თვისება არის კლასის წევრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ვიმუშაოთ მხოლოდ სტრიქონებთან
- b. არცერთი პასუხი არ არის სწორი
- c. ვიმუშაოთ მხოლოდ რიცხვებთან
- d. მეთოდების საშუალებით მივიღოთ ან შევცვალოთ ცვლადების მნიშვნელობები

### კითხვა 18

ინდექსატორი საშუალებას გვაძლევს ობიექტის ცვლადებს მივმართოთ?

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ ობიექტის სახელის საშუალებით
- b. ობიექტის სახელისა და ინდექსის საშუალებით
- c. მხოლოდ ინდექსის საშუალებით
- d. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### კითხვა 19

ოპერატორის გადატვირთვა არის მოქმედებების ერთობლიობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. როცა ხდება კლასის გამოცხადება
- b. რომლებსაც ოპერატორი შეასრულებს ჩვენ მიერ შექმნილი კლასის მიმართ
- c. არცერთი პასუხი არ არის სწორი
- d. როდესაც ოპერატორები მიმართავენ სხვა, ნებისმიერ კლასებს

### კითხვა 20

რა არის სტრიქონი:

აირჩიეთ ერთი:

- a. მთელრიცხვთა მასივი
- b. ობიექტების მასივი
- c. სიმბოლოების მასივი
- d. კლასების მასივი